ნესტან სულავა

სამყაროს მშვენიერების რენესანსული გააზრება „ვეფხისტყაოსანში“

რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში სამგვარი თვალსაზრისია გამოთქმული რუსთაველის შუასაუკუნეობრივი და რენესანსული აზროვნების რაობის შესახებ:

1. მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს შუასაუკუნეობრივი ესთეტიკური პრინციპების გამოხატულებად;

2. ნაწილს იგი რენესანსულ ნაწარმოებად მიაჩნია;

3. ხოლო ნაწილი მასში ერთდროულად ხედავს შუასაუკუნეობრივსა და რენესანსულს. ამჯერად ჩვენი მიზანია არაა ამ შეხედულებათა განხილვა-გაანალიზება და ჩვენი დამოკიდებულების გამოხატვა თითოეულისადმი, ჩვენ კონკრეტული მიზანდასახულობა გვაქვს, ესაა სამყაროს მშვენიერების რენესანსული გააზრების ჩვენეული კონცეფციის წარმოჩენა „ვეფხისტყაოსანში“.

ორიოდე სიტყვით რენესანსის არსებით ნიშანთა შესახებ: რენესანსს ახასიათებს გრანდიოზულობა, ზესთასოფელი და სოფელი ჰარმონიზებულია, ცხოვრების წესი გაესთეტიურებულია, ეთიკურობა გამშვენიერებულია; ანტიკური და ძველ-აღმოსაელური სიბრძნე ქრისტიანიზებულია და ქრისტიანული აზროვნება გაესთეტიურებულია; სულიერად და ხორციელად სრულქმნილი, ჰარმონიული ადამიანი პიროვნებაა, ინდივიდია, რამაც ახალი ცენტრისტული კონცეფცია ჩამოაყალიბა – თეოცენტრიზმთან ანთროპოცენტრიზმის შერწყმა. ანტიკურობის აღორძინება, ჰუმანისტური სულიკვეთების დამკვიდრება, სამყაროს მოვლენათა კოლოსალური აღმოჩენები, ასტროლოგიის აღზევება, ბედის კონცეფციის მოდერნიზებული აღორძინება, სამყაროს შემადგენელ ნაწილთა პოლიფონიურობა, ადამიანის სწრაფვა პიროვნული თვითშემეცნებისაკენ, ამაღლებულისა და სილამაზის შერწყმა, – ეს ყველაფერი რენესანსული კულტურის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ ყოველმხრივი დახასიათებისა და მისი თვისებების სრულყოფილი განსაზღვრისათვის მაინც არაა საკმარისი. რენესანსმა ანტიკურობიდან და ქრისტიანული ხელოვნებიდან ის საუკეთესო ნიშნები აიღო და შეირწყა, რომლებიც მის თანამედროვე ეპოქას ეხმიანებოდა. რენე-

სასი ბევრ სიახლეს ამკვიდრებს, ადამიანსა და სამყაროს, წინარე ხანის კულტურისაგან განსხვავებით, ახალი კუთხით წარმოაჩენს.[1]

ცნობილია, რომ რენესანსი ტრადიციებს არ უარყოფს, პირიქით, იგი ითავსებს წინარე განსხვავებული ეპოქების კულტურულ მონაპოვრებსა და ტრადიციებს, ქრისტიანობამ ანტიკური კულტურა უარყო, თითქმის მთელი ათასწლეული ზოგჯერ გამოჩინებულად, ზოგჯერ უჩინრად ებრძოდა მას; თავის მხრივ, ქრისტიანობას ბრძოლა უხდებოდა დამკვიდრებისათვის, მის ლეგალიზაციას სამი საუკუნე დასჭირდა (313 წელი – მილანის ედიქტი, 312 წელი – ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება). XI საუკუნეში ბიზანტიაში დაიწყო ანტიკურობის ქრისტიანიზება, ვინაიდან შუასაუკუნეობრივი ესოტიკური პრინციპები სილამაზის, მშვენიერების სრულყოფილად გააზრებისა და წარმოჩენისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ გახდა საჭირო ანტიკური და ქრისტიანული მსოფლმხედველობის, საღვთო და გარეშე სიბრძნის მორიგება, რასაც ბიზანტიურ სამყაროში მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის შრომებმა ჩაუყარეს საფუძველი. განხორციელდა. მაგრამ რელიგიურმა ომებმა და, სხვა მიზეზებთან ერთად, ამით გამოწვეულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა კრიზისმა ბიზანტიის იმპერიაში გავლენა მოახდინეს კულტურის განვითარებაზეც, რამაც შეაფერხა და შეანელა, შეიძლება ითქვას, შეწყვიტა რენესანსული აზროვნების აღმასვლა. რენესანსული აზროვნების განვითარების ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთით მდებარე განაპირა ქვეყანაში, იოანე საბანისძის სიტყვით, „ყურესა ქუეყანისასა" – საქართველოში და XII საუკუნის დამლევს, XIII საუკუნის დამდეგს მოთა რუსთველის სახით გაიბრწყინა.

„ვეფხისტყაოსანში" ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო მშვენიერია, ვინაიდან იგი სრულყოფილია, იგი მთელი თავისი მრავალფეროვნებით უსასრულოა, მარადიულია, დიადია, ამაღლებულია, ხოლო „უთვალავი ფერით" შემკული, ლამაზი და მშვენიერი სამყაროს გვირგვინი ადამიანია. შემოქმედი და შექმნილი მშვენიერია, ვინაიდან შექმნილი ვერ იქნება, თუ თავად შემოქმედს მშვენიერების ქმნადობის უნარი და მისი ღრმა შეგრძნება არა აქვს. სამყარო მოძრავია, ცვალებადია, განახლებადია, სხვაგვარად იგი მრავალფეროვნებას მოაკლდებოდა. სამყაროს შექმნისა და მისი იერარქიულობის ღვთაებ-

---

[1] რენესანსის შესახებ ქართულ ლიტერატურაში იხ. Ш. Нушубидзе, Руставели и восточный Ренессанс, Тб. 1947. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VIII, თბ., 1985. ალ. ბარამიძე, მოთა რუსთველი. თბ., 1975. Н.И. Конрад, Запад и Восток: Статьи.М.. 1972. А.Ф. Лосев.Эстетика Возрождения. М.. 1998 (Ш გამოც.). რ. სირაძე, ა.ლოსევი და ქართული რენესანსის პრობლემები. „ცისკარი", 1982, №7, ელ. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1993.

რივი ჩანაფიქრი მოწესრიგებულია, სისტემურია, ამასთან, მარადიული და უწყვეტია, „უქამო ქამია“, რაც აბსოლუტური სრულქმნილების საუძველს ქმნის. სამყაროს ყოველი ნაწილი, ყოველი ელემენტი ჰარმონიულად უკავშირდება მთელს, რაც სისრულეს, ამაღლებულობას, მშვენიერებას წარმოშობს. „ვეფხისტყაოსნით“: „იგი გაჰხდის წამისყოფით ერთისა ასად, ასსა ერთად“ (794) [2].

სამყაროს, როგორც მთელის, ისე მისი შემადგენელი ნაწილების, ელემენტების მარადმედინობა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ ვარდის სიმბოლიკით აისახა და გადმოიცა:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (36).

პოეტის ეს სიტყვები სამყაროს სისრულისა და განახლებისაკენ მარადიულ სწრაფვას მოწმობს, რათა მან ღმერთისაგან მინიჭებული მშვენიერება შეინარჩუნოს. მშვენიერება მის განახლებაშია, ხოლო სამყაროს განახლებისათვის მცდელობა და სიახლისაკენ სწრაფვა ახალი ცხოვრებაა, რაც რენესანსულ ესთეტიკურ ცნობიერებას აყალიბებს.

შოთა რუსთველის სამყარო დროსივცულად ხილულსა და უხილავ სამყაროს, სოფელსა და ზესთასოფელს, ქამიერსა და უქამოს მოიცავს; იგი, „უთვალავი ფერით“ შემკული, ლამაზი და მშვენიერია, ადამიანისთვისაა შექმნილი:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოელი ხელმწიფე სახითა მის მიერითა (1).

მართალია, სტროფი შესაქმის ბიბლიურ მსოფლხედვას ასახავს, მაგრამ, ამასთანავე, ისიც ფაქტია, რომ იგი სამყაროს მშვენიერების შეგრძნებას ამკვიდრებს. ჩანს, რომ „ირგელივ ყოველივე, ყველა, ყველაფერი“ არის ადამიანისათვის შექმნილი, ხოლო მისი მრავალფეროვნება ამაღლებულის მშვენიერების შეგრძნებას ბადებს. მშვენიერების შეგრძნება კი ადამიანთან მიმართების გარეშე ვერ წარმოიდგინება.

შოთა რუსთველი ყოველი არსის მშვენიერებასა და სილამაზეს ადამიანის („ჩვენ, კაცთა“...) თვალსაზრისით განსაზღვრავს და აღიქვამს. სამყაროს მრავალფეროვნება, სისავსე და სრულქმნილება ფორმისა და შინაარსის ერთიანობას გულისხმობს. სილამაზე, მშვენიერება თავისთავად არასოდეს არ არსებობს, იგი ყოველთვის ორიენტირებულია სხვა რომელიმე დადებით ღირებულებაზე. მშვენიერება, სილა-

---

[2] „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1966.

მაზე სხვა ღირებულებებს ეფუძნება, ვინაიდან იგი დადებით ღირებულებათა აღმქმელი გრძნობადი არსისთვისაა დამახასიათებელი.

„ვეფხისტყაოსანში“ ორსავე სოფელს ამკობს ამაღლებულობის მშვენიერება. სამყაროს შემოქმედი ღმერთი ამაღლებულისა და მშვენიერის შემოქმედია, ე.ი. ესთეტია; აქედან გამომდინარე, ღვთაებრიობა გაესთეტიურებულია, რაც წინარე ქრისტიანული ლიტერატურული ტრადიციებისაგან არ განასხვავებს რუსთველურ სააზროვნო ესთეტიკურ სისტემას (იხ. ნეტარი ავგუსტინეს თხზულებები, განსაკუთრებით „აღსარებანი“).

ღმერთმა ადამიანი ყველა იმ თვისებით დააჯილდოვა, რაც თავად აქვს; მან ხომ ადამიანი, მისი პირველსახე შექმნა თავისი სახისა და ხატის მსგავსად: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ... და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“ (შეს. 1,26 –27).

ამიტომ ადამიანსაც მიანიჭა მშვენიერების შეგრძნება, ე.ი. ადამიანი ესთეტად შექმნა. მშვენიერება არსებობს შინაგანი (pulchrum) და გარეგანი (decorum). ქრისტიანული მოძღვრება ორივეს აღიარებს, მაგრამ უპირატესობას შინაგან, სულიერ სილამაზეს და მშვენიერებას ენიჭება. რუსთველის სამყარო შინაგანადაც და გარეგნულადაც მშვენიერია, ლამაზია, „უთვალავი ფერითაა“ შემკული.

„ვეფსიტყაოსნის“ სამყარო, სოფელი და ზესთასოფელი, ვრცელია, მონუმენტურია. პოემის სივრცული არეალი ძალზე ფართოა, იგი ფაქტობრივად, მოიცავს მთელ კულტურულ აღმოსავლეთს: არაბეთს, ინდოეთს, ხვარაზმელთა სამეფოს, საგაეთს (ჩინეთს); ლექსიკის გათვალისწინებით, გამონაგონი ქვეყნებიც – მულღაზანზარი, გულანშარო, ქაჯეთი – ამავე არეალშია საგულვებელი. სივრცული მონუმენტურობა რენესანსის თვისებაა. პოემის გმირები მთელ ამ უზარმაზარ სივრცეს გადასერავენ დასახული მიზნის მისაღწევად. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თვით შოთა რუსთველმა ეპოსს, დიდი ეპიკური ტილოს შექმნას მიანიჭა უპირატესობა, რაც ეპოქის მოთხოვნილება იყო. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას ხომ წინ უძღვის მონუმენტური ტაძრების აგება, მონუმენტური ციხე-ქალაქების აღშენება, მონუმენტური ფერწერის განვითარება. ეს ის ეპოქაა, როცა უცხო სამყაროსადმი ინტერესი იზრდება იმის გამო, რომ ადამიანი სრულყოფილებასა და თვითგამოხატვას მიესწრაფვის, ამიტომ მისი თვალსაწიერიც უნდა გაფართოვდეს.

შოთა რუსთველი სვამს კითხვებს: რა ხდება მიწიერ საუფლოში, სოფელში და რატომ მიილტვიან მისი გმირები ზესთასოფლისაკენ, ანუ რუსთველურად „მუნ“?

ზესთასოფელში სულთა ჰარმონიული თანაარსებობაა, უანგაროობაა, უფრო ზუსტად, უანგარო ინტერესია უცხო არსებობისადმი, ხოლო

ზესთასოფლად არსებობა უცხოა. ზესთასოფლად არაბიოლოგიური ცხოვრების უსაზღვრობაა, უკიდეგანობაა, სულიერი ცხოერების აბსოლუტური სისრულეა. სწორედ ეს ბადებს ადამიანში ამაღლებულობისა და ზეციური სილამაზის, მშვენიერების შეგრძნებას. ზესთასოფელში წინააღმდეგობრიობა მოხსნილია, მხოლოდ კეთილი ყოფაა, ე.ი. ზნეობრივი სიკეთეა, მშვენიერებაა, რაც საკუთარ სულში თავისუფლების, ძლიერების, ჭეშმარიტების დამკვიდრებით უნდა გამოვლინდეს. „აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით“ (833); „მუნა გსახო, მადვე გსახო“ (1305);

სოფელში ადამიანის უმაღლესი ღირებულება პიროვნულობაა, ინდივიდუალურობაა. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები გამოკვეთილი ინდივიდები არიან, რომლებიც, სულიერებით გამორჩეულნი და ამაღლებულნი არიან, საკუთარი „მეს“ (ego) ძიებისაკენ, თვითშემეცნებისაკენ ურთულეს გზას გაივლიან. მათ უნდა აღმოაჩინონ საკუთარი თავი, რაც ანტიკურ, კერძოდ, სოკრატულ სიბრძნეს უკავშირდება: „შეიცან თავი შენი!“ „ვეფხისტყაოსანში“ იგი გამოხატულია ავთანდილის ბრძნული გამონათქვამით: „თავისის ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“ (876). ადამიანში არის ანგელოზური და კაცობრივი საწყისები; რენესანსული გააზრებით, ადამიანმა საკუთარ თავში ანგელოზური საწყისები კაცობრივის გზით უნდა მოიძიოს. ამიტომ ადამიანმა – პიროვნებამ, ადამიანმა – ინდივიდმა, რუსთველის ადამიანმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს ტრაგიზმის დაძლევის ძალა. „ვეფხისტყაოსანში“ ტანჯვაც გაესთეტიურებულია, რასაც პოემის სახელწოდების მრავალმხრივობაც ადასტურებს. იგი გაიაზრება ლიტერატურულ-ესთეტიკურად, დროსივრცული პოეტიკის მიხედვით, რელიგიურად, სოციალურად, პოლიტიკურად, ზნეობრივ-ეთიკურად, იდეოლოგიურად.

„ვეფხიტყაოსანში“ მთავარ პერსონაჟთა ქმედების უმთავრესი მიზანი დაკარგული ჰარმონიის ძიება, მოპოვება და დამკვიდრებაა, საღვთო და გარეშე სიბრძნის მორიგებაა, მშვენიერების, სილამაზის მოსაპოვებლად ბრძოლაა, რომელიც, აქედან გამომდინარე, კმაყოფილებისა და სიამოვნების მომგვრელია, ვინაიდან სულიერი მშვენიერებით ამაღლებული განცდა მიუძღვით განმღრთობისაკენ. რუსთველის ესთეტიკური მრწამსი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ემყარება: უპირველესად რუსთველური სამყარო ამაღლებულობის მშვენიერებით ხასიათდება, ვინაიდან უზენაესმა არსებამ, შემოქმედმა ღმერთმა სამყარო მშვენიერად შექმნა, რაც თავისთავად ღვთაებრიობის გაესთეტიურებას მოწმობს, ღმერთის მშვენიერების შეგრძნებამ კი ადამიანს ახალი გზა უჩვენა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“ (952). ესეცაა, რუსთველი ადამიანის ცდას ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა

უნდეს, მო-ცა-ცხვდების“ (904). ესაა ადამიანის თვითსრულყოფისაკენ მიმავალი გზა, რენესანსული გზა, რომელიც სამყაროს განახლებისათვის მცდელობასა და გარჯას მოითხოვს. სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩნდება, ერთის მხრივ, სამყაროს იერარქიულობა, რომელშიც, უთუოდ იგულისხმება წარმმართველი და დაქვემდებარებული, ხოლო, მეორეს მხრივ, საფეხურებრივი განვითარება, რითაც ირგვლივ და ყველაფერში ჰარმონიულობა მიიღწევა. ამისთვის აუცილებელია ადამიანში სულიერი სისრულის თვითშეგნების ჩამოყალიბება, ზნეობრივი ორიენტირის განსაზღვრა, ყოველგვარ განცდათა – მწუხარების, სიხარულის – საკუთარი ნებელობისადმი დაქვემდებარება.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის გარდასახვის, ადამიანში პიროვნების გამოღვიძებისა და აღორძინების იდეას ახალი თაობა აყენებს: ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. რუსთველმა პოემაში წინა პლანზე დააყენა არა მეფის ასულის ან მეფის ძის, არამედ პიროვნების, ადამიანი – ინდივიდის ინტერესები. ამით ის მკვეთრად განსხვავდება წინარე ლიტერატურული აზროვნებისაგან. „ვეფხისტყაოსანში“ ძველი თაობა პიროვნულს, ინდივიდუალურს პატივს არ მიაგებს, რის გამოც ჭიდილი აქვს ახალ თაობასთან. განსაკუთრებით საგრძნობი ეს ინდოეთშია, რომელიც ავტორის მიერ მომავალში მოწესრიგებულ ქვეყნად არის მოაზრებული, იგი ჰარმონიულ ქვეყნად უნდა ჩამოყალიბდეს. პირველი ნაბიჯი ინდოეთის ჰარმონიულობის მისაღწევად, მის მოსაწესრიგებლად ძველი თაობის წარმომადგენელმა სარიდანმა გადადგა და თავისი მეშვიდე სამეფო ფარსადანის ექვს სამეფოს შეუერთა, მაგრამ ჰარმონია ვერ დამკვიდრდა, ინდოეთის სულიერი სამყარო ვერ გამთლიანდა, ინდოეთი ვერ გამშვენიერდა. დაისმის კითხვა: რატომ? პასუხი ნათელია: ძველ თაობას არ ძალუძს სრულყოფილი ჰარმონიის დამკვიდრება, ვინაიდან სტერეოტიპებს ვერ ამსხვრევს. ახლებური აზროვნებაა საამისოდ საჭირო, ეს ახალი აზროვნება კი ახალი თაობის პრეროგატივაა. მართალია, სარიდანი პროგრესულად მოაზროვნეა, მაგრამ მას, როგორც ძველი თაობის წარმომადგენელს, რაღაც აკლია და ეს რაღაც სიახლის მოთხოვნილებაა, სიახლის სიღრმისეული შეგრძნებაა, ადამიანის პიროვნულობის შეგნებაა. ამ სიახლეს ახალი თაობა მთელი არსებით შეიგრძნობს, შეიმეცნებს; მათ იგი ბრძოლით უნდა დაიმკვიდრონ. მათ იციან, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად დაუსრულებელი ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო. ცხადია, ბრძოლა მიგადაშიგ სისხლის ღვრასა და გარკვეულ დათმობებს მოითხოვს, ზოგჯერ საჩოთირო საქციელსაც ჩააღენინებს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იმთავითვე სრულყოფილ, ჰარმონიულ პიროვნებებად კი არ გვევლინებიან, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრებისეული წინააღმდეგო-

ბების გადალახვის შემდეგ აღწევენ სულიერ სრულყოფას, ზნეობრივ ამაღლებას; შინაგანი მშვენიერებისა და ამაღლებულობის შეგრძნების საფუძველი ერთბაშად არ მკვიდრდება, თანდათანობით მზადდება. ტარიელი და ავთანდილი არღვევენ ღვთისაგან ბოძებულ მცნებებს, რომელთა დაცვა ადამიანის ზნეობრივი სახის მაჩვენებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი აბსოლუტურად სრულყოფილნი არ არიან. თვით შოთა რუსთველი თავის საყვარელ პერსონაჟებს დადებითი და უარყოფითი თვისებებითა და ქცევებით წარმოაჩენს. ორსავე შემთხვევაში ისინი შინაგან თავისუფლებას გამოხატავენ; ტარიელის მიერ ხვარაზმშას ძის მოკვლა პიროვნების თავისუფლების, ინდივიდის პიროვნულობის გამოხატულებაა; ასევეა ნესტან-დარეჯანიც, ტარიელის შთამაგონებელი ყოველ საქმეში. მათი ამბოხი ფარსადანის წინააღმდეგ ახალი თაობის ამხედრებაა და ბრძოლა ძველი თაობის აწ უკვე მიუღებელი, მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ. ისიც საგულისხმოა, რომ ტარიელს უმძიმს ხვარაზმშას ძის მოკვლა, რაც მის შინაგან ბუნებაში, საკუთარ სულიერ სამყაროში ჭიღილს მიანიშნებს. ცხადია. ეს მას ამშვენებს, ფსიქოლოგიზმით ტვირთავს. ასეთივეა ავთანდილიც. გულანშაროში იგი არჩევანის წინაშე იყო: ან უნდა დაეტოვებინა ზღვათა სამეფო ან ჭაშნაგირი უნდა მოეკლა. პიროვნების თავისუფალი ნება მეღავნდება მის არჩევანში. ორივეჯერ ირღვევა უმაღლესი არისტოკრატიული წრის ზნეობრივი ეტიკეტი, არც ერთი გმირი რაინდი არ თაკილობს არარაინდულ საქციელს. საუკუნეთა მანძილზე ჰაგიოგრაფიაში შემუშავებული პრინციპების კვალობაზე აღქმული იდეალური გმირის გაგება რუსთველის პოემაში ტრანსფორმაციას განიცდის, იცვლება იდეალისადმი დამოკიდებულება. „ვეფხისტყაოსანში" იდეალურობის პრობლემა, წინარე ლიტერატურული ტრადიციებისაგან განსხვავებით, ეპოქის ლიტერატურულ მოთხოვნილებათა კვალობაზე სხვაგვარად დგას; ეს სხვაგვარობა რენესანსულია. პოემის გმირები ღვთაებრივი განგების გვერდით ბედის არსებობას აღიარებენ, რაც ქრისტიანული რელიგიისათვის მიუღებელია, შუა საუკუნეების ესთეტიკისათვის უცხოა. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" ბედი, ანტიკური მითოლოგიისა და ლიტერატურის ბედისწერისაგან განსხვავებით, ცვალებადია და იგი წუთისოფლისეულია (სიახლოვეს ქართულ ფოლკლორთან ამეღავნებს), რასაც ადასტურებს ავთანდილის მიმართვა ღმერთისადმი:

> იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
> ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
> ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
> ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!" (837).

ბედის კონცეფციის აღორძინება „ვეფხისტყაოსანში“ რენესანსულია. ასევე რენესანსულია ასტროლოგიის აღორძინებაც, რომელთა კვლევა ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ცხოვრებისეული ფილოსოფია გამოიხატება იმ ძალისხმევაში, რომლის მიზანია ბედისწერის წინააღმდეგ ბრძოლა და გამარჯვება, ძიება და მოპოვება, რაც ღვთაებრივი განგების გამოცნობით მიიღწევა, ხოლო რუსთველის აზრით, განგების აღსრულება მშვენიერებაა, ვინაიდან მას ყოველთვის სიკეთე უდევს საფუძვლად. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, მათ სულიერ სამყაროს სიყვარული აღამაღლებთ, ალამაზებთ და ამშვენიერებთ, რაც მათ ესთეტურად წარადგენს მკითხველის წინაშე. მათივე ამაღლებულობა, სილამაზე და მშვენიერებაა სხვათათვის გარჯა, სხვათა ბედნიერების, სხვათა სიყვარულის გასამარჯვებლად ცდაა. ასე, რომ ესთეტიკური და ეთიკური შეზავებულია, ხოლო ეთიკური, თავის მხრივ, გამშვენიერებულია.

„ვეფხისტყაოსანში“ სამყარო მთლიანია, ადამიანი მისი ნაწილია. ადამიანში სულიერის, მშვენიერისა და სხეულებრივის (πνεῦμα, ψυχή, σῶμα) ერთიანობა, შერწყმა – შეზავება ბადებს მშვენიერებას, სილამაზეს. რუსთველის პერსონაჟები საკუთარ თავში განაცითარებენ სამყაროს მთლიანობის შეგრძნებას, რომელშიც ადამიანი – პიროვნება მიკროკოსმოსია. ღმერთის მიერ შექმნილ მშვენიერ სამყაროში ტრაგიკულიც მშვენიერად აღიქმება, თუ იგი პიროვნება-ინდივიდის ტრაგედიაა. ისევე როგორც ბედნიერებაა რჩეულთა ხვედრი, ასევე ტრაგიკულობაც რჩეულთა ხვედრია, რაც მშვენიერებითა და ამაღლებულობით გამოარჩევს პიროვნებას. ტრაგიკულის მშვენიერებად აღქმა რენესანსმა მოიტანა, ვინაიდან ადამიანური გრძნობა ყოველთვის მშვენიერია. მანვე დაამკვიდრა ეროსების კულტი: ყოველივე ამით გამშვენიერებულნი არიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ქსოვილში უმთავრესია ქმედება, შინაგანი მოქმედება, ე.ი. ის, რაც გმირთა ცნობიერებით ხდება. სწორედ აქ შეიგრძნობა დიდი სიახლე, რაც საოცარი, მრავლისმომცველი მეტაფორული აზროვნებით წარმოისახა პოემაში:

„მოწურეილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა,
სულთქვნა, რა ნახა ყვაეილი მან, უნახავმან ხანისა (1328).

„ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სატარანისა“ ეპოქის ცვლას მოასწავებს, ძველი იცვლება ახლით, ტრადიციულზე დამყარებული ახალი ჰარმონია მყარდება. მხატვრული აზრის ამგვარად გამოხატვა, ზოდიაქოს ნიშნებზე აქცენტირება რენესანსულია.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი, მონოლითური სამყარო, შემკული „უთვალავი ფერით“, მშვენიერია, ვინაიდან იგი სრულყოფილია, სრულქმნილია. მისი ყოველი ნაწილი ღმერთმა, უზენაესმა არსებამ მშვენიერად შექმნა. ლამაზი, მშვენიერი სამყაროს გვირგვინი ადამიანია, რომელიც, მაკროსამყაროს დარად, ეითარცა მიკროკოსმოსი, „უთვალავი ფერითაა“ შემკული. სამყარო და ადამიანი ცვალებადია, განახლებადია, მოძრავია, სხვაგვარად ისინი მრავალფეროვნებას მოაკლდებოდნენ. სამყაროს შექმნისა და მისი იერარქიულობის ღვთაებრივი ჩანაფიქრი მოწესრიგებულია, სისტემურია, მარადიული და უწყვეტია, „უქამო ჟამია“, რაც აბსოლუტური სრულქმნილების საფუძველს ქმნის. სამყაროს ყოველი ნაწილი, ყოველი ელემენტი პარმონიულად უკავშირდება მთელს, რაც სისრულეს, ამაღლებულობას, მშვენიერებას წარმოშობს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები სამყაროსა და მის ნაწილებს, რუსთველურად: „ერთსა“ და „ასს“, მშვენიერად აღიქვამენ, მათში სიახლეს ეძიებენ, შეიგრძნობენ და თავს მიიჩნევენ ღმერთის მსახურ რაინდებად (ავთანდილი: „თუღა დავრჩე, ვმსახურებდე“... 813), რაც მომხიბვლელობასა და შინაგან სულიერ სილამაზეს ჰმატებთ. ისინი საკუთარი პიროვნების, პიროვნული ღირსების, ინდივიდუალობის დამკვიდრებას ლამობენ და სწორედ ამ პროცესით, ქმედებით, დინამიურობით მშვენიერდებიან. ყურადღების ცენტრში ექცევიან პიროვნებები, რომლებიც ცვლიან, გარდაქმნიან მთელ საზოგადოებას, ვინაიდან საზოგადოება თავისთავად პიროვნებათა, ინდივიდთა ერთიანობაა. რუსთველის ადამიანი არის მიკროსამყარო, ხოლო სამყარო – მაკროადამიანი. ამიტომაა რუსთველური მსატვრული აზროვრება რენესანსული, ხოლო ამ მხატვრული აზროვნების ნაყოფი – „ვეფხისტყაოსანი“ – მარადიული მშვენიერებით შემკული ინდივიდი შემოქმედის სულიერი და ინტელექტუალური სამყარო.

Nestan Sulava

Renaissance Conception of World Beauty in "Vepkhistkaosani"

In Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin" ("Vepkhistkaosani") the entire world is beautiful because it is perfect, ideal. Each part of it was created by the Lord as beautiful. The crown of this beautiful world is a man who like the macro world is adorned with

precious stones. The universe and the human are changeable, innovative, moveable, otherwise they would not be included in the diversity. The divine idea of the creation and its hierarchy of the universe is ordered, it is systematic, eternal and constant. Each part, element of the universe is harmonically linked with the whole, which creates completeness and beauty. The characters of "Vepkhistkaosani" perceive the universe and its parts as beautiful, they look for anything new in it, find, perceive it and consider themselves as the knights of the god which gives them appeal and inner spiritual beauty. They try to reach their personal dignity, individuality and by this process, action, motion become beautiful. In the centre of attention there are the persons who change the whole society because the society itself is the entity of people, individuals. Rustaveli's human is micro world and the world is the macro world. This is why Rustaveli's artistic thinking is Renaissance and the result of this thinking-"Vepkhistkaosani" and its individual spiritual-intellectual world is adorned by eternal beauty.